გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 68

2023 წლის 18 აპრილი
ქ. გორი

ქ.გორში გრიგოლ ფერაძისა და ძმები რომელაშვილების ქუჩების კვეთასთან ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

ქ.გორში გრიგოლ ფერაძის ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორივე მიმართულებით მოძრაობას ხელს უშლის გრიგოლ ფერაძის ქუჩაზე (ძმები რომელაშვილების ქუჩიდან გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის შესასვლელამდე) პარკირებული ავტოტრანსპორტი. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად და მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში გრიგოლ ფერაძისა და ძმები რომელაშვილების ქუჩების კვეთასთან განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ.გორში გრიგოლ ფერაძისა და ძმები რომელაშვილების ქუჩების კვეთასთან განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მულის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. ქ.გორში გრიგოლ ფერაძისა და ძმები რომელაშვილების ქუჩების კვეთასთან განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**